სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

---

## ქართული თეატრი

კვირას, 20 დეკემბერს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან და ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:

I

### ქორ-ოღლი

ტრაგედია 4 მოქ. ნ. ანტონოვისა.

II

მეხუთე მოქმედება

### ორი ობოლი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ა. მესხი

---

## ქართველნი მწერალნი

ახლად დაიბეჭდა ფოტოტიპიური სურათი ქართველთ მწერლებისა.
სულ ოცის მწერლის სურათია საუკეთესო ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, თითოეული სურათი 75 კაპიკად.
ვინც ნაღდ ფულზე იყიდის არა ნაკლებ 10 ცალისას, თითოეული სურათი დაეთმობა 50 კაპ. ვინც ფოსტით გამოიწერს სურათს, გაგზავნის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს. ყოველ ცალზე ფოსტის ხარჯად 15 კაპ. უნდა დაემატოს. ფული შეიძლება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. ამ სურათის გასყიდვისაგან შემოსული ფულის 10% გადადებულია „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.
ადრესი: Тифлисъ, фотографія А. Гойнова, А. Нордштейну
(10—7)

---

...ათს, 21 ქრისტიშობისთვეს
...ლისის სობრანიის დარბაზში
...ამართულ იქნება
...ის გამავრცელებლის
...სასარგებლოდ

### ...ნცერტი

...ლშიაც მონაწილეობას მიი...
...კნ. ბ. მ. ამირაჯიბი, ქ-ნნი
...სარაჯიშვილი და ა. ა. თხორ...
...აია, თ. ა. რ. წერეთელი და
...ი მ. ვ. სერბულოვი, პ. ა.
...ოდი, ი. გ. გარგარეთელი და კ.
. მესხი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.
კონცერტის შემდეგ იქნება

### ცეკვა

ბილეთები იყიდება საზოგადოების კანცელარიაში და ტფილისის სობრანიაში.

---

### ექიმი

### კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

გულისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—66)

---

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა

### „კავშირი"

იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.
ეტლთა მიმოსვლა არის შეთანხმებული მატარებლის მიმოსვლასთან. სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.
ფასი დაწესებულია ერთი მანეთი
ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე
(15—12)

---

### Готовлю

въ землемѣрное и техническое училище, въ учит. институтъ и на вольноопредѣляющагося. Подъ Давидомъ (მთაწმინდა), 2-я Овражская, № 2. Грязновъ.
(4—4)

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

### ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
### БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია

### ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. ზერატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

---

## ახალი ამბავი

—

*** ქართული წარმოდგენა. 17 დეკემბერს ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებმა ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოთ წარმ... გინა „ოროლანო და ... 3 მოქმედ. ერთი ს... რის ტრაგედიიდან ... ერთი მოქმედებაც ... კომედიის „ხანუმა" ... მოწვეულნი იყვნენ ... რი მსახიობნი: ქალ... ცაგარლისა და ბ-ნი ... მესხიშვილი. ამ საღ... დგენაზედ აუარებელ... სწრო; ფადგილობის ... ფეხზედ იდგა. ს... საღამოს წარმოდგ... რათ ჩაიარა. საზო... ცებაში მოიყვან... ნური თამაშით...

მებენეფისემ ბ. აბაშიძემ. მებენეფისეს ბ. აბაშიძეს რამდენიმე ძვირფასი ნივთები მიართვეს. წარმოდგენა ღამის პირველ საათის ნახევარზე გათავდა და საზოგადოება მეტათ ნასიამოვნები დაბრუნდა.

*** სამწუხარო შემთხვევა. სოფ. მალვავანში (ერევნის გუბ.) შემდეგი სამწუხარო შემთხვევა მომხდარა. ერთ ახალგაზდა გლეხს მიუღია სხვა-და-სხვა ქალაქებიდან რამდენიმე წერილი, რომლებითაც მას ატყობინებდნენ, შენი სოფლის ერთი მცხოვრებთაგანი შენს ცოლს ჰყვარობსო. ამის შემდეგ ახალგაზდა გლეხი ცდილობდა ეხელთა დრო, რომ თავისი მოწინაამდეგე მოეკლა. ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზდა ქმარს გაუგია, რომ მის მოწინააღმდეგეს ღვინო მიჰქონდა სოფლიდან გასასყიდად. წაუღია ბერდანის თოფი, ჩასაფრებია თავის მეტოქეს და კიდეც მოუკლავს. იმავე ღამეს ახალგაზდა გლეხი ყელ-გამოჭრილი უნახავთ საკუთარ სახლში. („მშ.“)

*** ტფილისის აბანოები როგორც სამკურნალო წყლები. გიდროლოგიის მოღვაწეთა კრებას პეტერბურგში ტფილისის გოგირდის ცხელი აბანოები სამკურნალო წყლებად უცვნია.

*** იარაღების საწყობის განყოფილებანი. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა გამართოს გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღების უმთავრეს საწყობის განყოფილებანი ვაზის სამკურნალო მასალების საწყობებთან, რომლებიც იმყოფება კავკასიის სხვა და სხვა კუთხეში.

*** შემწეობა საკვირაო სკოლებისათვის. ქალაქის გამგეობამ დაადგინა მისცეს შემწეობა 1899 წლისათვის ნიკოლოზის საკვირაო სკოლას და ვერის საკვირაო სკო... ...რას-ორასი მან.

...ი ... ...მეებს. რადგან გა... ...ავადმყოფთა ფარ... ...ილები აღარ ჰყოფ... ...ვთათვის, ამის გამო ...ობამ დაადგინა: სა... ...თ ცალკე სადგომს ...ეროებით დასაწვენად ...ებულ ფარდულებში ...ებით.

...ოფობა ტფილისში. ...მბრამდე ტფილის... ...დ გამხდარა 16 ... და ყელქირვე...

კურთხევა. 20 დეკემბერს, აკურთხეს სვირისა და აჯამეთის რკინის გზის ხიდები, რომლებიც გააკეთეს დაზიანებულ ხიდების ნაცვლად.

*** მუშების ბინების დათვალიერება მთავარ-მართებლის მიერ. 17 დეკემბერს, კავკასიის მთავარ-მართებელმა გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინმა დაათვალიერა ბინები, სადაც უმეტეს ნაწილად მუშები ცხოვრობენ.

*** კუკიის აგარაკის იჯარით გაცემა. 17 დეკემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოხდა საჯარო ვაჭრობა ქალაქის კუკიის აგარაკის იჯარით გასაცემად, რომელი აგარაკიც იმყოფება თოფხანის უკან მლაშე ტბას შუა. აგარაკი წინანდებურად კუკიის მეჯოგეებმა დაირჩინეს 1,400 მანეთად წლიურად.

*** ივ. ჯაიანის საქმე. 11 დეკემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლომ ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე ნაფ. ვექილის ივ. ჯაიანისა (იგივე დირექტორი ადგილობრივ საადგილ-მამულო ბანკისა), რომელსაც ბრალდებოდა, რომ მან პირობა დასდვა აზნაურის ქალს მ. ჩ—ს შევირთავო, მაგრამ არ შეასრულა ეს პირობა ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. კ. ჩიკვაიძე. ჯაიანი გამართლებულ იქმნა სასამართლოს მიერ.

*** ქუთაისის ქალაქის საქმეები. 14 დეკემბერს, ქუთაისის ქალაქის საბჭომ განიხილა 1899 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. საბჭო დიდად განცვიფრა იმ გარემოებამ, რომ ხარჯთ-აღრიცხვიდან გამოერიცხათ ის 100 მან., რომელსაც წარსულ წლებში ქალაქის ღარიბებს ურიგებდნენ. ხმოსანმა კ. ბ. ლორთქიფანიძემ შენიშნა, რომ ფულის უქონლობის გამო შემწეობაზე უარს ვერ ვეტყვით ღარიბებს მაშინ, როდესაც ძაღლების დასახოცად ყოველ წლივ ქალაქი 500 მანეთს ხარჯავსო. საბჭომ დაადგინა დარჩეს ხარჯთ-აღრიცხვაში 100 მან. ღარიბების თასარიგებლადაო.

გარდა ამისა საბჭომ, ქუთაისის გუბერნატორის წინადადებით, დაადგინა: დაქირავებულ იქნეს ქუთაისის ქალაქის სამკურნალოსათვის სამუდამო ექიმი, რომლის სასყიდლად გადასადები ფული 900 მან. შეტანილ იქმნეს ხარჯთ-აღრიცხვაშიო. შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება სახელმწიფო გადასახადის გაწერის შესახებ. ქუთაისის საგუბერნიო გამგეობამ გააწერა ქალაქის ქონებებზე 19 ათა... ...მეტი მანეთი, ქონებათა იმ და... ...ების მიხედვით, რომელიც მოახდინა ხარკის ამკრეფმა ინსპექტორია არუთინოვმა. საბჭომ თავის დროზე საგუბერნიო გამგეობის ეს დადგენილება განასაჩივრა იმ მოსაზრებით, რომ საგუბერნიო გამგეობამ სახეში მიიღო არა თვით ქალაქის თვით-მმართველობის მიერ მოხდენილი დაფასება, არამედ მეტად დიდი დაფასება, რომელიც მოხდა ქალაქის დაუკითხავად და დაუთანხმებლად. მაგრამ ეს საჩივარი სენატმა უყურადღებოდ დასტოვა, რადგან სათანადო წესით არ იყო წარდგენილი. („ნ. ობ.“).

*** ახალი წყლის მილის გაყვანა. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ახალი წყლის მილი გაიყვანოს ოლგის ქუჩიდგან საქართველოს სამხედრო გზაზედ, ვიდრე არტილერიის ბრიგადის ახალ შენობამდის, ვერაზედ.

*** ნამქრიანი თელავში. თელავიდგან იუწყებიან, რომ იქ თოვლი დაიწყო 11 დეკემბრიდგან და 15-ს დეკემბრამდე გასტანაო, ისე, რომ თითქმის ორ არშინზედ მეტი თოვლი მოვიდა რის გამო არამც თუ ფოსტისა და ეტლების მიმოსვლა შეჩერებულა, არამედ საშინელმა ნამქერმა ტელეგრაფიც კი შეაყენაო.

ამ წლეებში თელავის ნინოს სასწავლებეში პარაკლისი იყო გარდახდილი, სახსოვრად იმისა, რომ ამ სასწავლებელს სიენიჰა ყველა ის უფლებანი, რა უფლებითაც ყველა ამ ტიპის სასწავლებლები არსებობენო.

*** ციმბირში გადასახლებული დუხაბორები. იმ დუხაბორებს, რომლებიც ციმბირში გადასახლდნენ, გაუგიათ, რომ მთავრობამ უკვე ნება დართო კავკასიაში მყოფ დუხაბორებს სამძღვარ გარეთ გადასახლებისა, განუძრახავთ სთხოვონ უმაღლეს მთავრობას, რომ მათაც მიეცეთ ნება სამძღვარ-გარეთ გადასახლებისა.

*** სამეგრელო. „სამეგრელოს შუამავალი ამხანაგობის“ დაარსების შესახებ. სწორედ დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგებებოდა ყოველი ჩვენგანი „სამეგრელოს შუამავალი ამხანაგობის“ დაარსებას ს. ძველ-სენაკში: მით უმეტეს რომ, როგორც უკვე მოგეხსენებათ, სამეგრელოს ავლა-დიდება, ე. ი. ადგილობრივი ნაჭირნახულევი თუ შინაურობაში რაიმე გაკეთებული ყოველივე ეს სომეხ-ურია-ბერძნების ხელში ვარდებოდა ჩალის ფასად ისე, როგორც მათი გამდიდრების მადა მოითხოვდა; ეს ვაჭარ-სპეკულიანტები იყვნენ და დღესაც არიან სამეგრელოს „კულტურონანი“ და მათი სათლელი მცვრიანი მწვადი და დუმა საწყალი სამეგრელო გამხდარა. დიახ, ყოველივე ზემო თქმული ნამდვილთან სწორია, რომ ურია-სომეხ-ბერძენი ბატონია სამეგრელოს ნაჭირნახულევისა, ხოლო მკვიდრი მისი, ყურ-მოჭრილი მათი ყმა, თითქმის ყოველ საქართველოს კუთხეში ცოტ-ცოტად ხალხი იღვიძებს, სწავლა-განათლებით თუ მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგით ამ დროს სამეგრელოში ჩამი ჩუმი აღარ ისმის და თუ რაიმე გაკეთებული მოგვეძევება, სულითა და გულით იმისი დაღუპვი... გზაზე ვადგივართ. არც სხვისა გაკეთებული მოგვწონს და არც ჩვენ თითონ რაიმე ერთმანეთის წინ წასაწევს საქმეს მივსდევთ, რის გამოც ყოველ მხრით დაქვეითებული და უკან ჩამორჩენილნი ვართ ჩვენის საქართველოისა. რა არის ამის მიზეზი? უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, მაზანდის დადებაა, ადგილობრივის ნაჭირნახულევისა, არა აქვს, ცოტათი მაინც რიგიანი მაზანდა თვინიერ აბრეშუმისა. შარშან და წელს, როდესაც აბრეშუმის ფასმა აიწია, ღარიბი თუ მდიდარი, თავადი თუ გლეხი, ერი თუ ბერი და ასე წარმოიდგინეთ, სკოლებშიაც კი დაიჯინეს აბრეშუმის ქია. ასევე რო ჰქონდეს გასავალი ისხვა ადგილობრივ ნაწარმოებს, მაშინ ხომ წელზე ფეხებს ვერ დავიდგამთ და ჩვენს გატანჯულს ცხოვრებას ძაღლიც ვერ დაჰყეფს. აქ რომ შედგეს „ამხანაგობა“, მაგ. სიმინდისა, რომელიც ბლომად მოჰყავთ სამეგრელოში, ნუ თუ მოსაგები არ არის? მარტოდ-მარტო სიმინდის „კამპანია“ დიდს მოსაგებ საგანს შეადგენს, მაგრამ ვინ არის ამ სიმპატიური საქმის მოთავე? ამ საქმეში, ჩვენის აზრით, ადგილობრივი მემამულეები ითავებდეს, არა მგონია ზარალი მისცეს და კიდეც ვალდებულნი არიან, რომ ითავებდნენ, რადგანაც მათ სიმინდი ბლომად აქვთ გასასყიდი. მაშ, დაგვილოცნია მათთვის ამ საქმის მეთაურობა და ვისურვებთ ამ საქმის განხორციელებას მათის და საზოგადოების სასარგებლოდ. ამ რამდენისამე წლის წინა... შესახებ კიდეც იყო ლა... მაგრამ, საუბედუროდ, ... ლი არ მიეცა. არა... გვიან ოლონდ... ეცეს. ამგვარ... როგორც „შუამავალი... ბის“ ერთ-ერთი წევრთა... „ცნობის ფურცელში“ ... და ამ ერთის წლის წინად... მავალი ამხანაგობის“ ... სამეგრელოში „მარილი იქნე... და მალამოდ დაედებოდა ... სამეგრელოში. ეს, რასაკვირველ... ასეც უნდა ყოფილიყო. მაგ...

ვაი რა მწარედ მოვსტყუვდით? მართალია ეს ორი წელიწადია, რაც უკუღმართ ვარსკვლავზე დაარსებული „სამეგრელოს შუამავალი ამხანაგობის" სახელით მონათლული, რაღაც „შუამავალი ამხანაგობა" სოფ. ძველ-სენაკში დაარსდა, მაგრამ რა სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას, რომლებიც აღტაცებით ეგებებოდა მას? აღარაფერი! რათა? იმიტომ, რომ ამ „ამხანაგობას" ისეთი გულ-შემატკივარი გამგე აღარ ჰყოლია, როგორც მართებულება მოითხოვდა. ან სრულიად ეს დაწესებულება უგამგეთ არის და თუ გამგე ყავს „ამხანაგობას" სად არის? ამიტომაც არის, რომ აგერ ორი წელიწადია, რაც არსებობით არსებობს, მაგრამ აღარაფერი უმოქმედებია, როგორც საზოგადოებაში ხმა ტრიალებს. უკეთუ გამგეს „შუამავალი ამხანაგობისას" ამ საქმის გაძღოლა არ შეეძლო. ვინ დაატანა ძალა, შენ თუ გამგეობა არ იკისრე დავიღუპებითო? ნეტავი ვიცოდე, ძალად ვინ ცხონებულა? სამწუხაროა, სასაცილო რომ არ იყოს, ისეთი მოქმედება ამგესი. ორის წლის აბრეშუმის ...რკის ყიდვა-გასყიდვაში, მოიგო რამე თუ არა, რისთვის არ ამცნევს იმ საზოგადოებას, რომელთა წვა-დაგვით მოპოვებული ფულის უფროსობა მას უკისრნია? ნუ თუ დრო და ხანი არ იყო, რომ ერთხელ მაინც საზოგადო ყრილობა მოეხდინა და თვისი მოქმედების ავ-კარგი საზოგადოებისთვის დაენახვებინა? განა მეტი ბარგი იქნებოდა გაზეთში გამოეცხადებინა, რა იმოქმედა ამ ორ წელიწადში, მოიგო რაიმე თუ წააგო? განა ...იც ცოდვა იქნებოდა, რომ გაზეთის საშუალებით მეტი წევრი მოეწვია თუ უზრუნველ-ყოფილია? აღარა გვგონია, რომ წევრთა მომატება საჭირო არ იყოს, მაგრამ აბა ვინ არის პატრონი? გამგეს რო მართლა გამგეობა და მართვა შესძლებოდა, უსათუოდ გაზეთის დახმარებით მოიწვევდა წევრებს, მაგრამ ცხადია ორი „კურდღლის მდევარი მწევარი, ვერც ერთს დაიჭერსო", ამბობს ანდაზა. ამ „შუამავალი ამხანაგობის" შესახებ ხალხში ათასი ჭორები ტრიალებს და სასურველია, რომ გამგემ თვისი მოქმედების ავ-კარგი გამოაცხადოს გაზეთში, თორემ ბოლოს ვერც ერთი ვერ გაიმართლებს თავს, უკეთუ ეს დაწყებული საქმე ეხლავე ჩაიშალა. საჭიროა მეტი სიმხნევე და ენერგია..

ტელეფონი

*** **ს. ჭყვიში** (ლეჩხუმის მაზრა). **ღვინის მოსავალი.** სოფელი ჭყვიში მდებარეობს ქუთაისიდგან სამოცდა ექვსი ვერსის მანძილზე, ლეჩხუმის და რაჭის მაზრების საზღვარზე. სოფ. ჭყვიში დიდი ხნიდანვე ნაქებია თავისი მშვენიერი ღვინით. მაგრამ, საუბედუროდ, ამ ბოლო დროს ავადმყოფობამ ძლიერ შეაწუხა ვაზი და ღვინის მოსავლის იმედი თან და თან გვეკარგება. ეს ოთხი წელიწადი გადის, რაც აქაურ მცხოვრებთ ერთი წვეთი ღვინოც ვერ გაუყიდნიათ. ამის გამო გლეხის ვალი და „ნედოიმკები" თან და თან მატულობს,—მით უმეტეს, რომ აქეთ დიდი სივიწროვეა ადგილებისა, რის გამო ძალიან ცოტა ითესება.

— **მამასახლისის არჩევნები.** ჭყვიშის საზოგადოებაში გასულ გიორგობისთვეში მოხდა მამასახლისის არჩევნები, ადგილობრივი ბოქაულის თანადასწრებით. ხალხმა ყვირილი ასტეხა, ძველი მამასახლისი იაკობა ცხვედიანი დარჩეს, ვინაიდგან ის სინიდისიერად ასრულებს თავის მოვალეობასაო. არც შემცდარია ხალხის ასეთი აზრი თვის ძველ მამასახლისზე, რომელმაც თვისი პატიოსნებით ღირსეულად დაიმსახურა სიყვარული ხალხისაგან. მაგრამ სამწუხაროდ, ცხვედიანმა მარტოხელობის გამო გადაჭრით უარი განაცხადა მეორედ მამასახლისად დარჩენაზე. ბევრის ყვირილის შემდეგ, ხალხმა ამოირჩია მამასახლისად არა ნაკლებ ჭკვიანი და პატიოსანი კაცი ვლადიმერ ცხვედიანი, რომელსაც ვუსურვებთ მასაც დაემსახურებინოს ხალხის სიყვარული და პატივისცემა თვისი მოქმედებით ხალხის საკეთილ-დღეოდ.

კოსტა ცხვედიანი

*** **დ. ზუგდიდი** (სამეგრელო). **წიგნთ-საცავ-სამკითხველოების უქონლობა.** მთელი სამეგრელო რომ სანთლით მოიაროთ, მარტვილის გარდა, ვერსად შეხვდებით ვერც ერთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მაშინ, როდესაც გურიაში სულ უბრალო სოფელიც კი არ არის მოკლებული ამ ძვირფასს განძს და პირველ-დაწყებითი სკოლებს, რომელთა რიცხვი იქ წლობით კი არა, თითქმის დღითი დღე მატულობს, სამეგრელოში უბრალო სოფელი კი არა, თვით დაბა ზუგდიდიც კი ეს ძველის ძველი სამთავრო ქალაქი მოკლებულია ყველა ამ სიკეთეს.

დროა გამოიფხიზლონ მეგრელებმაც და იზრუნონ თავიანთ განათლება-სწავლაზე.

ჯურუ

*** **ს. მეტეხი** (ქართლი). **ამინდები და ქურდ-ბაცაცობა.** წრევანდელს შემოდგომაზე აქეთ ძალიან დარიანობა იყო. დღემდის აქ წვიმა და თოვლი ჯერ თვალით არ გვინახავს ამითი ისარგებლეს ჩვენმა ღამის რაინდებმა, შინაურმა ქურდ-ბაცაცებმა და აღარ გაუშვეს ცხენი მოუპარავი, მწირი, ფუტკარი ღვინო და შინაურ ფრინველებს ხომ მუსრი გაავლეს. ამასაც არა სჯერდებოდნენ ხანდისხან ჭიაკოკოლასაც გააჩაღებდნენ ხოლმე, მოუკიდებდნენ ცეცხლს თივას ფუჩეჩს საქონლის საჭმელს, ლობეებს, კალოზე ძნებს და ასე შეუბრალებლად ანადგურებდნენ საწყალ გლეხების ქონებას. ურიგო არ იქნება, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს.

მეტეხელი გლეხი ალექსი მირზაშვილი.

## სამკურნალო ცნობა

მოთხოვნილება ძილისა. ამ წინა კვირაში ჩვენ მოყვანილი გვქონდა, რომ ერთს ინგლისელ ახალგაზდა კაცს თორმოცდა ათი დღე ეძინათ; რამდენადვე მავნებელია ადამიანის სხეულისთვის ხანგრძლივი ძილი, იმდენადვე მავნებელი და სხეულის დამაძაბუნებელია—უძილობა. ხშირად გვესმის ხალხისაგან, რომ ძილი სრულად არა გვაქვსო; მაშასადამე აქედან შეგვიძლიან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ძილი ისეთივე აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს ადამიანის სხეულისთვის, როგორათაც ჰაერი, წყალი და საჭმელი. ადამიანის სხეული შესდგება კარგა ბლომა ელემენტებისაგან; ყველა თვითეულს ამ ელემენტებს აქვს თავისი განსაკუთრებითი დანიშნულება: გული ამუშავებს მთელ ადამიანის სხეულში სისხლს, ფილტვები ასუნთქებინებს სტომაქში სუფთა ჰაერს და იქიდანვე ამოსუნთქავს უკვე ფილტვებისთვის უსარგებლო ჰაერს, ძარღვებს მოძრაობაში მოჰყავთ მთელი ორგანიზმი, ერთი სიტყვით ყველა ნაწილს სხეულისას თავისი განსაკუთრებითი გამიჯნული სამუშაო აქვს. რაც უნდა მრავალგვარის ნაწილებისაგან შესდგებოდეს მანქანა, მაინც მათ შორის არის ერთი უმთავრესი მანქანა, რომელსაც სხვა დანარჩენი წვრილი მანქანანი მოძრაობაში მოჰყავს. ამგვარადვე ადამიანის სხეულში არის ერთი უმთავრესი ელემენტი, რომელსაც მთელი სხეულის ნაწილები მოძრაობაში მოჰყავს, ეს არის ადამიანის ტვინი. მაშასადამე თუ ტვინი უმთავრესი მმართველია მთელ ადამიანის სხეულისა, ძალაც მას ადგია და უეჭველია, თავის დაგვარათ, მეტად იღალება და თხოულობს მოსვენებას. ტვინი მოსვენებას პოულობს ძილით. დრო და დრო თვითეული ადამიანის სხეული ისვენებს, მაგალითად: როდესაც ადამიანს ძალა ადგია მკლავებში, მაშინ ფეხები ისვენებენ. სისხლის მიმოსვლაზე და სუნთქვაზედაც ესევე შეგვიძლიან ვსთქვათ. ყველა სულდგმულს სუნთქვა სამგვარი აქვს: ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა და ხანა დასვენებისა. დრო ამ სამივე შემთხვევაში თანაბარი უნდება. მაშასადამე დღე-ღამეში სუნთქვა-ამოსუნთქვაში ადამიანს სჭირდება 16 საათი და ისვენებს 8 საათს. გულის დანიშნულება არის შეისუნთქოს მთელი სისხლი და შემდეგ ისევ გაფანტოს მთელს ადამიანის სხეულში. იმ შემთხვევაშიაც, როდესაც სისხლს ისუნთქავს ვიდრე ძარღვებში გაფანტავდეს დრო გადის, ისე რომ 24 საათში 18 საათი მოძრაობასა და მუშაობაშია და 6 საათი ისვენებს, დრო გამოშვებით.

თუ ვერც ერთი ნაწილი ადამიანის სხეულისა დაუსვენებლივ ვერ განაგრძებს თავის მოქმედებას, მით უფრო ტვინი, რომელიც უმთავრესი მანქანაა მთელს ადამიანის აგებულების მოძრაობისა. ტვინი დასვენებას ძილში პოულობს, თუმცა მილშიაც სრულიად მოსვენებაში არ არის და რაც უნდა ღრმა ძილით ეძინოს ადამიანს, მაინც ტვინი უგრძნობლად მოქმედობს.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

მეზობელი. ბატონო, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ ქალიშვილს უთხარით, რომ ასე ბევრს ნუ უკრავს როიალს!..

მამა. იცი რა გითხრათ, ამის აკრძალვა შეუძლებელია! შეირთეთ ჩემი ქალი და შეიძლება მაშინ მოისვენოთ!

—

მამა. ვანო, კიდევ სტირი?

შვილი. დედა ქალებს აცხობს!..

მამა. და მერე მაგისთვის სტირი?

შვილი. ცოტას აცხობს!..

—

— სადა ხართ შენდა მათიკო, რომ ერთად აღარ დაიარებით?

— რაღა სადა ვართ, უბედურება დაგვემართა.

— რა უბედურება? გაიყარენით?

— უფრო უარესი—მე ცოლი შევირთე.

—

გასათხოვარი ქალი ეკითხება: მე მევიტყე, რომ თქვენ ვაჭარი მდიდარაძის ქვრივი შეგირთავთ, მართალია?

— დიახ, მართალია.

— მერე რას შეხარბდით? ნუ თუ ის ბებერი მახინჯი შეგიყვარდათ?

— სრულებითაც არა, დიდძალი ფული დამვალდა მისი და მან მაიძულა.

## გამოსადეგი ცნობა

წვნიანი საჭმლის მიუღებლობა. ხშირად ზოგიერთი პირნი წვნიან საჭმლის ჭამას თავს ანებებენ. ამ მიზეზის გამო სრულიად ეკარგებათ მადა, მოსდით კუჭის ტკივილი, სუსტდებიან, უფრიალებთ გული, უხნდებათ

თავის ტკივილი და სხვა. ამ სნეულებას ერთი მხრივ ჰბადავს შარდზე გაუსვლელობა და მეორე მხრივ სხეულის უვარჯიშობა. ამისათვის საჭიროა ავადმყოფმა ფიზიკურად ივარჯიშოს, მიიღოს ძალიან ხშირად რძე და შრატი. ადამიანმა იმდენი უნდა იაროს, რომ სხეულში გამოიწვიოს ოფლი, მასზედ მოჰყვება მაშინვე შარდზე მიდგომა. საჭმელი უნდა ჭამოს ძალიან ნოყიერი. ყოველდღიური საჭმელი უნდა შესდგეს 250 გრამმი ხორცისაგან და 150—200 გრამი ფქვილეულის საჭმლისაგან.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 16 დეკემბერს, დილის 10 საათზე ლივადიიდგან ცარსკოე სელოში მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებით. ვარშავის რკინის გზის სამეფო შტოს ფარდულში მათს უდიდებულესობას მიეგებნენ: დიდნი მთავარნი ბორის და ანდრია ვლადიმერის ძენი, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასულა, შინაგან საქმეთა მინისტრი, სამხედრო მინისტრი და გზათა მინისტრის ამხანაგი. სამეფო ფარდულის შესავალთან იდგნენ მისის უდიდებულესობის საპატიო დარაჯის ყაზახები. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული გამობრძანდნენ ვაგონიდგან, მიესალმნენ უავგუსტოესს ნათესავთ და შემდეგ ჩამოუარეს მათს უდიდებულესობათა მისაგებებლად თავ-მოყრილ წარჩინებულ კაცთ. სამეფო ფარდულიდგან მათნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ ეტლებით წაბრძანდნენ ალექსანდრეს სასახლეში. გზაში გამწკრივებულნი იყვნენ საპატიო დარაჯისა და გრენადერთა რაზმის ჯარის კაცნი.

18 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა, საიმპერატორო სამხედრო სამკურნალო აკადემიის დაარსებიდგან ასი წლის შესრულების სახსოვრად, ბრძანა ნება ებოძოთ მათ, ვინც აკადემიის სამსახურში არიან ეპოლეტებსა და პაგონებზედ იქონიონ აღნიშნული აკადემიის დამაარსებლის იმპერატორის პავლე 1 სახელი, ხოლო აკადემიის სტუდენტებს მუნდირზედ ღილები არწივებით.

ოლდენბურგის პრინცი, წამობრძანდა რა თურქესტანიდგან, ხელმძღვანელობა სასანიტარო საქმისა მიანდო გენერალ-ლეიტენანტს ოზეროვსკის.

16 დეკემბერს დაბრუნდა კონსტანტინეპოლიდგან პეტერბურგში დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე.

**პარიზი.** საკასაციო პალატამ მოისმინა ჩვენება ბარტუსი, შემდეგ —კაზიმირ პერიესი.

**პრაგა.** ხუშინ ობერლანდმარშალის მიერ გახსნილ იქმნა ლანდტაგი. ნემეწცთა არც ერთი დეპუტატი არ დაესწრო.

**რეტიმნო.** 16 დეკემბერს ადმირალი სკრიდლოვი გამოეთხოვა ჯარსა და მცხოვრებელთ. ეპისკოპოსმა სიტყვაში აღნიშნა ადმირალის ღვაწლი კუნძულის დამშვიდების საქმეში. ყველას დაენანა ადმირალის წასვლა. ადმირალმა მადლობა გარდაუხადა ჯარს, სამღვდელოებას, ქალაქის წარმომადგენელთ, სკოლის მოსწავლეთ. მცხოვრებლები მოუთმენლად მოელიან ბატონიშვილს.


# განცხადებანი

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი ინსტრუმენტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо

В. М. Мириманіана

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—51)

1899. ОТКРЫТА ПОДПИСКА 1899.

НА ЕЖЕДНЕВНУЮ, ПОЛИТИЧЕСКУЮ, УЧЕНУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

## СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

**годъ изданія 87-й** ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ **годъ изданія 87-й**

издаваемую Спб. Акціон. Обществомъ печатнаго дѣл „Издатель“

подъ редакціей **А. К. Шеллера (А. Михайлова)**.

Въ будущемъ году газета будетъ выходить при участіи Л. А. Авиловой. К. С. Баранцевича, В. В. П. П. Веймарна, Н. Г. Гарина (Михайловскій)- М. Б. Городецкаго, П. В. Засодимскаго, И. Ивановича, С. Н. К., Н. В. Максимова, Д. Н. Мамина-Сибиряка, Г. А. Мачтета, К. В. Назарьевой, Вас. И. Немировича-Данченко, И. Н. Потапенко, Н. О. Пружанскаго, Э. Л. Радлова. Н. А. Рубакина, А. Сакмарова, А. М. Скабичевскаго, М. Слобожнина, К. М. Станюковича, В. А. Тимирязева, А. М. Хирьякова, А. К. Шеллера и др.

Въ ежедневныхъ нумерахъ газеты „*Сынъ Отечества*“ помѣщаются: руководящія статьи и замѣтки, литературы науки, экономической и общественной жизни во всѣхъ ея проявленіяхъ, административныя и придворныя извѣстія, а также корреспонденціи какъ заграничныя, такъ и внутреннія телеграммы (внутреннія и иностранныя): статьи по военному дѣлу, сельскому хозяйству, историческія статьи и замѣтки торгово-промышленныя и биржевыя свѣдѣнія, судебные отчеты литературныя театральныя и музыкальныя рецензіи, библіографіи, біографіи и некрологи современныхъ общественныхъ дѣятелей, фельетонъ общественной жизни и беллетристика, русская, и иностранная.

Кромѣ ежедневныхъ нумеровъ газеты, годовые подписчики получатъ:

**52 НУМЕРА ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ** печатаемыхъ въ видѣ **еженедѣльнаго журнала,** гдѣ помѣщается: историческіе и современные романы, повѣсти, разсказы, стихотворенія научныя, новости и заключаетъ болѣе:

**300 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ РИСУНКОВЪ:** портреты историческихъ и современныхъ общественныхъ дѣятелей, историческія, бытовыя и современныя иллюстраціи, а также карикатуры, шахматныя, шашечныя задачи и проч., что въ теченіе года составитъ большой сборникъ интересныхъ литературныхъ произведеній и иллюстрацій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на первое изданіе (съ доставкою):

на годъ—**8** р. на полгода—**4** р. на три мѣсяца—**2** р. на одинъ мѣс.—**1** р.

ВТОРОЕ ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ «СЫНЪ ОТЕЧЕСТВА»

ВТОРОЕ ИЗДАНІЕ „Сына Отечества“ является не сокращеннымъ повтореніемъ большого изданія, а представляетъ собою самостоятельную газету, въ которую входятъ телеграммы, хроника и общеинтересный матеріалъ и въ которой имѣются свои особые отдѣлы (сельско-хозяйственныя свѣдѣнія, научныя мелочи, обиходная рецептура и т. п.).

ВТОРОЕ изданіе представляетъ собою въ Россіи первое дешевое ежедневное изданіе съ иллюстраціями.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на второе изданіе (съ достав. и перес. по Россіи).

На годъ—**4** руб. На полгода—**2** руб. На три мѣсяца—**1** руб.

ЗА ГРАНИЦУ: на годъ—**10** р., на 6 мѣс.—**6** р., на 3 мѣс.—**3** р.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ **въ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ: СПБ., НЕВСКІЙ ПР., д. № 68—40,** а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ, какъ столичныхъ такъ и провинціальныхъ.

(8—2)

## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

Преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сель.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ **3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—61)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Декабря 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი შ. ზა